



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №103

2013 წლის 9 ივლისი

ქ.ქობულეთი

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
ქონების წლიური სარგებლობის ქირის განსაზღვრის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთი, სოფელ მუხაესტატეს ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე მდებარე 2.0 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე საწყისი (ს/კ №20.33.01.084) წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს 2400 (ორიათას ოთხასი) ლარი, ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქობულეთი, სოფელ მუხაესტატეს ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე მდებარე 2.0 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართის შემდგომი განკარგვის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (რ.კარალიძე).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე. ბაგრატიონი